სტაჟირების მსურველები, აუცილებელია, დარეგისტრირდეთ ვებ-გვერდზე - www.stajireba.gov.ge, მიმდინარე წლის **15-**დან **25** სექტემბრამდე**,** ხოლო რეგისტრაციის გასავლელად დაგჭირდებათ ინდივიდუალური აქტივაციის კოდები, რომელიც გადმოგეცემათ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დალუქული კონვერტით, პირადობის მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე.

სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 თვიდან 6 თვემდე ვადით.

ამასთან, სტაჟირების ვადა, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის, შესაძლებელია, აისახოს სტუდენტის სასწავლო კრედიტების რაოდენობაში, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ამ პროგრამის მიზნებისათვის, სტაჟირება ერთჯერადი ხასიათისაა, ტარდება სასწავლო/პროფესიული გამოცდილების მიღების მიზნით და ანაზღაურების გარეშე.

სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიერ.

რა ეტაპების გავლაა საჭირო სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად?

I-ეტაპი:

სტაჟიორობის მსურველი სტუდენტი/კურსდამთავრებული ვალდებულია გამოცხადდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში ინდივიდუალური კოდის მისაღებად, რომელიც პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ გადაეცემა დახურული კონვერტით.

II-ეტაპი

სტაჟიორობის მსურველი სტუდენტი/კურსდამთავრებული ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე www.stajireba.gov.ge-ზე გაიაროს აქტივაცია ინდივიდუალური კოდისა და პირადი ნომრის მეშვეობით.

III-ეტაპი

სტაჟიორობის მსურველი სტუდენტი/კურსდამთავრებული ვალდებულია ინდივიდუალური კოდით აქტივაციის შემდეგ www.stajireba.gov.ge-ზე გაიაროს ავტორიზაცია და პროგრამის ზედა მარჯვენა კუთხეში არსებული ვაკანსიების ბმულიდან გადავიდეს ვაკანსიების მქონე უწყებების ჩამონათვალზე და დარეგისტრირდეს სასურველ უწყებაში სასურველ ვაკანსიაზე.

VI-ეტაპი

რეგისტრაციის დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში სტუდენტი/კურსდამთავრებული ვალდებულია გამოცხადდეს და პირადობის მოწმობით რეგისტრაცია გაიაროს სტაჟირების ადგილზეც.

პროგრამის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების მიზანია:

დაინტერესებული პირებისთვის პროფესიული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

შესაბამისი პროფილის სტუდენტებისა და კურს დამთავრებულებისათვის პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების საშუალების მიცემა;

საჯარო დაწესებულებებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება;

სტაჟირების ერთიანი სტანდარტის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სექტორში დასაქმების მსურველთათვის ჯანსაღი კონკურენციის შექმნასა და საჯარო სამსახურში დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის საჯარო მოსამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ნორმებისა და სტანდარტების გაზიარება;

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით, საჯარო სამსახურის ერთიანი საკადრო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, საჯარო დაწესებულებების უზრუნველყოფა მოხალისე დამხმარე ძალით;

დასაქმების თანაბარი პირობების შექმნა, როგორც რეგიონებში მცხოვრები პირებისათვის, ისე,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

გისურვებთ წარმატებებს და იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული სტაჟირება დადებით წვლილს შეიტანს თქვენ პროფესიულ ზრდაში და დაგეხმარებათ ახალი კონტაქტების დამყარებაში, მომავალში თანამშრომლობის გაგრძელების მიზნით.